

საიდ. N74130/03

IR 925596

### გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №184-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ, შემდეგი შემადგენლობით: ს. მუჯირი (თავმჯდომარე), ს. ებრალიძე, ქ. კილაძე, ლ. ახოზაძის მდივნობით განიხილა კომპანიის „პანდორა ა/ს.“ (Pandora A/S) (მის.: ჰავედვეჯენ 2 DK-2600 გლოსტრუპი (დანია); Hovedvejen 2, DK-2600 Glostrup) N184-03/14 სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 20 აგვისტოს №2226/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო

ნიშნისათვის „ESSENCE“ (საიდ. N74130/03 IR 925596) დაცვის მინიჭება საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-14 კლასი).

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

#### გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 20 აგვისტოს N2226/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, საქართველოზე გასავრცელებლად წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი „ESSENCE“, ჟღერადობით, ვიზუალურად და სემანტიკურად მსგავსია მადრიდის შეთანხმების ოქმით კომპანიის „NIDA SAAT SANAYI VE DIS TICARET LIMITED SIRKETi“ სახელზე მე-14 კლასის საქონლისათვის „Watches and horological instruments (including chronometers, belts for watches)“ რეგისტრირებული და საქართველოზე გავრცელებული კომბინირებული სასაქონლო ნიშნისა - „ESSENCE“ (რეგ. N1060940, რეგ. და გავრცელების თარიღი 03/08/2010წ.). მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი შესრულებულია სტანდარტული ლათინური შრიფტით, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი სტილიზებულია და დამატებით შეიცავს გამოსახულებით ელემენტს, მათი ჟღერადობა იდენტურია. შესაბამისად, ექსპერტიზამ მიიჩნია, რომ დაპირისპირებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანში გამოსახულებითი ელემენტის არსებობა და სიტყვიერი ელემენტის სტილიზებულად შესრულება, არ არის საკმარისი იმისათვის, რომ არ მოხდეს წარმოდგენილი და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა. გარდა ამისა, ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, საათებისა და საიუველირო ნაწარმის გასაღების ადგილი, ძირითადად, ერთია. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საერთაშორისო

სასაქონლო ნიშანს „ESSENCE“ უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

აპელანტი არ ეთანხმება ექსპერტიზის გადაწყვეტილებას და მიაჩნია, რომ არ არსებობს განცხადებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, უარის თქმის საფუძველი, ვინაიდან ზემოაღნიშნული ნორმის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება თუ „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი-იდენტურია ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“.

აპელანტის მტკიცებით, დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს შორის არსებობს ვიზუალური განსხვავება, განცხადებული სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს სტანდარტული ლათინული შრიფტით შესრულებულ წარწერას, მაშინ როდესაც დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი კომბინირებულია, მისი სიტყვიერი ელემენტი შესრულებულია სტილიზებული შრიფტით და ნიშანში განთავსებულია გრაფიკული ელემენტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნიშნებს შორის არსებობს ვიზუალური სხვაობა და ნიშნები განსხვავდებიან ასევე საერთო შთაბეჭდილებით, რასაც ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა.

რაც შეეხება დაპირისპირებული და განცხადებული ნიშნების საქონლის ჩამონათვალს, ის ასევე განსხვავდება. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი იცავს მე-14 კლასში შემავალ შემდეგ საქონელს: „Watches and horological instruments (including chronometers, belts for watches)“. რაც შეეხება განცხადებული სასაქონლო ნიშნის საქონლის ჩამონათვალს, აპელანტმა შეზღუდა ჩამონათვალი და ამოიღო შემდეგი საქონლი: “horological and chronometric instruments, including watches”.

აპელანტი ასევე განმარტავს, რომ საქართველოში თანაარსებობდნენ ისეთი სასაქონლო ნიშნები, რომელთაც მართალია, იდენტური სიტყვიერი ელემენტები ჰქონდათ, მაგრამ დამატებით შეიცავდნენ განსხვავებულ გრაფიკულ ელემენტებს,

მაგალითად: FLORA (მე-3 კლასი; IR 823140) – FLORA & device (მე-3 კლასი; მოწ.N15292).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აპელანტი ითხოვს, ბათილად იქნას ცნობილი „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 20 აგვისტოს №2226/03 ბრძანება და საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „ESSENCE“ (საიდ. N74130/03 IR 925596) მიენიჭოს დაცვა საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-14 კლასი).

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი (საიდ. №184-03/14) არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოზე გასავრცელებლად წარმოდგენილი საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი „ESSENCE“ (საიდ. N74130/03 IR 925596) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „ESSENCE“ (რეგ. N1060940) აღრევამდე მსგავსია. სასაქონლო ნიშნები მსგავსია ვიზუალურად, სემანტიკურად და ფონეტიკურად.

სააპელაციო პალატის კოლეგია მიიჩნევს, მიუხედავად იმისა, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი შესრულებულია სტილიზებული შრიფტით და დამატებით შეიცავს გამოსახულებით ელემენტს, ხოლო განცხადებული სასაქონლო ნიშანი სტანდარტული ლათინური შრიფტით შესრულებული სიტყვიერი ჩანაწერია, საერთო შთაბეჭდილება, რომელიც შესაძლოა მოახდინოს ამ ნიშნებმა მომხმარებელზე, იქნება მსგავსი. ორივე ნიშანი შესრულებულია ლათინური შრიფტით, შეიცავს შვიდ იდენტურ ასოს და გამოსახულია როგორც „ESSENCE“.

სასაქონლო ნიშნები იდენტურია ფონეტიკური თვალსაზრისითაც და ქართველი მომხმარებლის მიერ, გამოითქმის როგორც „ესენს“.

ამასთან, დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს მსგავსი სემანტიკური მნიშვნელობა აქვთ. ორივე სასაქონლო ნიშანი აღნიშნავს „ძირს“, „შინაარსს“, „არსს“, „ფესვს“, „ძირითად შემადგენელ ნაწილს“.

რაც შეეხება დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების საქონლის ჩამონათვალს, სააპელაციო პალატის კოლეგიის აზრით, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, როგორც საქონლის გასაღების ადგილს, ასევე საქონელს. საათის მწარმოებელი კომპანიები, როგორც წესი, აწარმოებენ ასევე საიუველირო ნაწარმს და მათი გასაღების ადგილიც, უმეტეს შემთხვევაში, ერთია. შესაბამისად, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ საქონლის შეზღუდვის პირობებშიც, სახეზეა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა, ვინაიდან განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების, მე-14 კლასის საქონლის ჩამონათვალი აღრევამდე მსგავსია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „ESSENCE“ (საიდ. N74130/03 IR 925596) უარი უნდა ეთქვას დაცვის მინიჭებაზე საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

## გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანიის „პანდორა ა/ს.“ (Pandora A/S) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №184-03/14) არ დაკმაყოფილდეს.

2. ძალაში დარჩეს „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 20 აგვისტოს №2226/03 ბრძანება.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

ს. მუჯირი

წევრები:

ქ. კილაძე

ს. ებრალიძე